



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №2

2016 წლის 5 თებერვალი
ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - ქ. დუშეთში, კოსტავას ქუჩა 34-ში განთავსებული შენობა ნაგებობის (ს/კ 71.51.02.097) პირველ სართულზე - 25 კვ.მ ფართობის ერთი ოთახის შპს „თბილისის ბიზნეს ტრენინგ ცენტრისთვის“ ქირავნობის ფორმით გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - მდებარე ქ. დუშეთში, კოსტავას ქუჩა 34-ში შენობა ნაგებობის (ს/კ 71.51.02.097) პირველ სართულზე - 25 კვ.მ ფართობის ერთი ოთახი საოფისე ფართი ქირავნობის ფორმით გადასცეს შპს „თბილისის ბიზნეს ტრენინგ ცენტრს“.

2. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი